განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18-19 ოქტომბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19 ნოემბერი 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**211349192**
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის ბაკალავრი 0788
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (**გადაწყვეტილება N 01, 2020 წლის 21 თებერვალი)**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ბარათაშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პაატა გერაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღუღუნიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“ ხორციელდება სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის ეკონომიკის და მენეჯმენტის დეპარტამენტის ბაზაზე. დეპარტამენტი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2014 წლიდან ინსტიტუციური აკრედიტაციის რეჟიმში და თავდაპირველად მისი სახელწოდება იყო ,,მშენებლობის მენეჯმენტი“ ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია მენეჯმენტის ბაკალავრი (კოდი 0203). 2020 წელს დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამა რეაკრედიტაციის მიზნით წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის #01 გადაწყვეტილებით მას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

პირობითი აკრედიტაციის მიღების შემდეგ პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. საგანმანათლებლო პროგრამა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებასთან „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან და მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა - „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრი.“

საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“ შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს (ECTS). საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს არანაკლებ 230 კრედიტისა (საიდანაც 21 კრედიტი გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსებისთვის და 209 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის) და თავისუფალ კომპონენტებს არანაკლებ 10 კრედიტისა.

ამჟამად პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 51 აკადემიური პერსონალი და არ ჰყავს მოწვეული პერსონალი. წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში ფიქსირდება, რომ პროგრამას ჰყავს მოწვეული 4 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი. თუმცა ვიზიტის დროს დაზუსტდა, რომ სააკრედიტაციო პროცესში მოწვეული პერსონალიც უსდ-ის აკადემიური პერსონალი გახდა. პროგრამაზე სწავლობს 94 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს საშუალდ 85 %-ს. მათ შორის, სპეციალობით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 77 %-ია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 18-19 ოქტომბერს, თბილსში არსებულ მისამართზე: მ. კოსტავას ქ. 68. ვიზიტამდე, 14 ოქტომბერს, შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი. შეხვედრისას ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს ცენტრის მიერ გამოგზავნილი მასალების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბებული წინასწარი შეხედულებები და განსაზღვრეს ის აუცილებელი კითხვები, რომელებიც დაისვა მომდევნო დღეებში

ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

18 ოქტომბერს 10:00 საათიდან, Zoom-ის საშუალებით, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

19 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის მიერ ფიზიკურად განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენი წარმომადგენლები Zoom-ის საშუალებით მონაწილეობდნენ პროცესში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანამანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია III, IV და V სტანდარტებთან, მეტწილად შესაბამისობაშია I და II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - საჭიროა უსდ-მ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა, რათა ზუსტად დადგინდეს რამდენად არის ბაზარზე პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების კადრებზე მოთხოვნა;
  - საჭიროა პროგრამის დაგეგმვის, განვითარების და შეფასების პროცესში დამსაქმებელთა მეტი ჩართულობა და მათი მოსაზრებების პროგრამაში ასახვა;
  - წერითი და ზეპირი კომუნიკაციები ნაცვლად არჩევითისა შეტანილი უნდა იქნეს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში და განისაზღვროს, როგორც საბაკალავრო პროექტზე დაშვების წინაპირობა;
  - საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი კურსების ნაწილში, დაემატოს სასწავლო კურსი „ინვესტიციების საფუძველები“. არ შეიძლება ამ კურსის საკითხების ნაწილის (ინვესტიციური პროცესი და მონაწილე მხარეები, ინვესტიციების ბაზარი საქართველოში, ინვესტიციების სახეები, ინვესტიციების მოზიდვის წყაროები, ადგილობრივი ინვესტიციები, უცხოური ინვესტიციები; ინვესტიციების წარმოშობის წყარო, ინვესტიციების განთავსების სახელმწიფო პრიორიტეტები, ინვესტიციების განთავსებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი) სწავლება ხდებოდეს „მშენებლობის მარკეტინგის“ სასწავლო კურსის ფარგლებში.
  - გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს შემდეგ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები: „მარკეტინგის პრინციპები“, „შესავალი ადამიანური რესურსების

მენეჯმენტში“, „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები,“ „დეველოპმენტის საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის მენეჯმენტი“, „საბანკო საქმე“

- გადაიხედოს სასწავლო კურსების: „მწვანე მშენებლობა“, „მშენებლობა და გარემო“, „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“ სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსთან და სასწავლო კურსების მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თემების შინაარსთან;
- სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში მიეთითოს სასწავლო კურსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე კვლევები და ტენდენციები;
- დაკორექტირდეს თემების გადაფარვები შემდეგ სილაბუსებში: „მშენებლობის ორგანიზება და დაგეგმვა“ და „შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში“; „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ და „მშენებლობა და გარემო“;
- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინფორმირება მათი საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისათვის ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - კარგი იქნება თუ უსდ სტუდენტებს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს სხვა უცხო ენა და აქვთ პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე სხვა უცხო ენის შესწავლის სურვილი, შესთავაზებეს უცხო ენის კურს დამწყებთათვის, რომლის გავლის შემდეგაც სტუდენტები დაიშვებიან შესაბამისი უცხო ენა 1-ის კურსზე.
  - სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების შეფასების დროს სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს ანონიმურობის დაცვა.
  - უსდ-მ უზრუნველყოს კონფერენციებში, კვლევებში, მობილობის პროგრამებში და სხვა მსგავს სასწავლო და კვლევით ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის გააქტიურების მიზნით სხვადასხვა საინფორმაციო, წამახალისებელი და ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება.
  - სასურველია, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ლაბორატორიებში დანადგარებზე გაკეთდეს აგრეთვე ქართული მანიშნებლები.
  - უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების ინფორმირება ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ.
  - ვინაიდან პროგრამა ინტერდისციპლინურია, სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს როგორც მშენებლობის ინჟინერიის, ისე მენეჯმენტის სფეროს აკადემური პერსონალის თანაბარი ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოვიდა შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებასთან „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან და მისანიჭებელი კვალიფიკაცია განესაზღვრა - „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრი.“
- შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და „მშენებლობის მენეჯმენტის“ ნაცვლად ეწოდა „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“.
- დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და დასაქმების სფერო;
- უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის და მსგავსი პროგრამების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნების და ყველა დაინტერესებული მხარის უკუკავშირის და სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები. არსებულ სასწავლო კურსებში განხორციელდა კრედიტების, სწავლების და შეფასების ფორმების, შინაარსის და სასწავლო ლიტერატურის ცვლილება.

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

2021 წლის 15 ნოემბერს უსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტზე.

უსდ-მ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ „2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი“, „2.3. სასწავლო კურსი“ და „4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება“ სტანდარტებთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციები (გარდა 2.3 სტანდარტის ერთი რეკომენდაციისა) და აიღო პასუხისმგებლობას, რომ „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში უახლოეს პერიოდში განახორციელოს სათანადო ცვლილებები.

უსდ-ს მიერ არ იქნა გაზიარებული 1.1, 1.2 და 2.3 სტანდარტებთან მიმართებაში გაცემული შემდეგი რეკომენდაციები:

- საჭიროა უსდ-მ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა, რათა ზუსტად დადგინდეს რამდენად არის ბაზარზე პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების კადრებზე მოთხოვნა;
- საჭიროა პროგრამის დაგეგმვის, განვითარების და შეფასების პროცესში დამსაქმებელთა მეტი ჩართულობა და მათი მოსაზრებების პროგრამაში ასახვა;
- სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში მიეთითოს სასწავლო კურსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე კვლევები და ტენდენციები;

და წერილობით იქნა წარმოდგენილი მათი პოზიცია ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არ ჩათვალა საკმარისად და დასკვნის პროექტში გაცემული ყველა რეკომენდაცია უცვლელად აისახა საბოლოო დასკვნაში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ,,მშენებლობის იჟინერია და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული ცოდნით უპასუხონ დარგის უახლეს გამოწვევებს კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ: მიზანი 1: მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის ფუნდამენტურ საკითხებზე დაყრდნობით, შესძინოს კურსდამთავრებულებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამშენებლო ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების, ცალკეული სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების დაგეგმვის და განხორციელების საინჟინრო და მენეჯერული მიდგომების ცოდნა. მიზანი 2: მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნის საფუძველზე, აღჭურვოს კურსდამთავრებულები სამშენებლო ბიზნესის გარემოს აღქმის, ცალკეული სამშენებლო პროცესების წარმოების, სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების ეფექტურად მართვის და დარგის წინაშე მდგარი ეთიკური, სოციალური და სამართლებრივი საკითხების გაცნობიერების უნარებით. მიზანი 3: შეუქმნას კურსდამთავრებულებს მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის სფეროში სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძვლი. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა ორიენტირებული. იგი ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადია, რაც დასტურდება საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობით, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, სამშენებლო ფაკულტეტის დებულებაში აღწერილ სტატუსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან. უსდ-ს ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი. თუმცა, წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი არის სამაგიდო კვლევა, რომელშიც შესწავლილია 2017-2021 წლებში საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევები და რელევანტური სტატისტიკური ინფორმაცია და მცირე გამოკითხვები სამიზნე ბიზნეს სექტორისთვის. კერძოდ, შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია მშენებლობის დარგის შესახებ; უცხოურ ქვეყნებში მშენებლობის სფეროში სამუშაო ადგილების პროგნოზი; სამუშაო ძალების საჭიროების პროგნოზი, წყარო ამერიკის შრომის სტატისტიკის ბიურო (BLS-Employment projections —2018-28, Bureau of Labor Statistics, US Department of Labor). ასევე შესწავლილი იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების საიტების მიერ ბოლო ექვსი თვის მანძილზე გამოქვეყნებული ვაკანსიები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რაც თავისთავად საინტერესო და მნიშვნელოვანია, მაგრამ რადგან პროგრამა არის ინტერდისციპლინური და კურსდამთავრებულს ენიჭება მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რეკომენდირებული იქნებოდა უსდ-ს თავად ჩაეტარებინა შრომის ბაზრის კვლევა, რათა დაედგინა თუ რამდენად არსებობს შრომის ბაზარზე მოთხოვნა ამ პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის კადრზე, რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულებზეა მოთხოვნა დამსაქმებლების მხრიდან, რაც დაეხმარებოდა დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის დაგეგმვასა და გაუმჯობესებაში.

საგანამანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული სხვა დაინტერესებულ მხარეების მიერ, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს.

უსდ-ს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი და სტრატეგიული გეგმით ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან, ასევე ჩართულია ერაზმუს + პროექტებში. სამშენებლო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, თუმცა 2018-2021 წლებში უშუალოდ ამ პროგრამის მხოლოდ ერთი სტუდენტს აქვს მიღებული მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში ერაზმუს + ფარგლებში. ინტერვიუს დროს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზად მათი უცხო ენაში დაბალი კომპეტენცია დასახელდა, რაც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმაც დაადასტურეს. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად უსდ-ს ახალი პროგრამის ფარგლებში გაძლიერებული აქვს უცხო ენის სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება: https://gtu.ge/AboutStu/regulation.php
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018- 2024 წწ. https://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_01.pdf
- სტუ-ის 29-07-2021 **დადგენილება N 01-05-04/ 104** საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“;
- სამშენებლო ფაკულტეტის დებულება https://gtu.ge/Construction/Faculty/regulation.php
- დამსაქმებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

რეკომენდაციები:

○ საჭიროა უსდ-მ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა, რათა ზუსტად დადგინდეს რამდენად არის ბაზარზე პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების კადრებზე მოთხოვნა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს ბაკალავრიატის საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგები პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

პროგრამის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას წარმოადგენს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი, 85%-იანი მაჩვენებელი, მათ შორის მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულთა 77%-იანი მაჩვენებლი. ასვე შემდეგ საფეხურზე კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელების მაღალი, 87%-იანი მაჩვენებელი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავად კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი არ არის მაღალი და მათი შეფასების შედეგების მაჩვენებელიც ბოლო წელს 50%-50%-ზეა გადანაწილებული კარგსა და დამაკმაყოფილებელს შორის, რაც ინტერვიუების დროს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ კურსდამთავრებულთა რაოდენობის სიმცირით აიხსნა. ეს მაჩვენებლები და, ასევე, ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასთან ერთად დაზუსტდა პროგრამის მიზნები და შედეგებიც. დაიხვეწა პროგრამის კურუკულუმის სტრუქტურა, იმგვარად, რომ მან უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. განახლდა და დაიხვეწა ცალკეულ სასწავლო კურსების შინაარსი, დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება და კრედიტების მოცულობა.

პროგრამას აქვს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან. ასევე წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც დაწესებულებას აძლევს საშუალებას, განახორციელოს ეფექტური მონიტორინგი და რომელიც შემდგომში გამოიყენება პროგრამის შედგების გასაუმჯობესებლად, რაც დასტურდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიის ოქმით და სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის დოკუმენტით.

სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ იყენებს შეფასების პირდაპირ მეთოდებს როგორებიცაა ტესტი, გამოცდა, პროექტი, პრაქტიკა და ა.შ.

ასევე ხდება პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შედეგების შეფასება და დამსაქმებლების მიერ სტუდენტის შეფასება. ამ უკანასკნელის ფორმა უსდ-ს შემუშავებული აქვს, თუმცა განხორციელებული შეფასების ანალიზი არ ყოფილა წარმოდგენილი.

პროგრამის აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, რაც

ინტერვიუს დროსაც იქნა დადასტურებული მათ მიერ.

სტუდენტის სწავლის შედეგების შესაფასებლად ხორციელდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზი. სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზი ითვალისწინებს გამოკითხვის და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას. გამოკითხვა ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარებით, ხოლო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს უზრუნველყოფს სტუ-ში მოქმედი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი შეფასებების შედეგებს. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აგრეთვე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ან ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, სისტემა აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მექანიზმი. კერძოდ, პროგრამის შემუშავების ჯგუფში შესაძლებელია ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, თუმცა ინტერვიუების დროს კურსდამავრებულებისაგან განსხვავებით დამსაქმებლების ჩართულობა ნაკლებად დადასტურდა. დამსაქმებლები პრაქტიკულად არ იცნობენ პროგრამას. მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააქტიუროს დამსაქმებლებთან კონტაქტები, დაგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს მათ მეტ დაინტერესებას პროგრამით და გაზრდის ჩართულობას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და სწავლის შედეგების შემუშავების, ასევე, შეფასების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი” სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილება;
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info ;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.
- სტუდენტთა მიღწევების სტასტისტიკა წლების მიხედვით და ანალიზი
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამების შეფასების კომისიის სხდომის ოქმები;

- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

- საჭიროა პროგრამის დაგეგმვისა, განვითარების და შეფასების პროცესში დამსაქმებელთა მეტი ჩართულობა და მათი მოსაზრებების პროგრამაში ასახვა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და		X		

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც პროგრამაზე ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე დასაშვებად უნივერსიტეტი ბოლო ორი წელია აბიტურიენტებისგან ითხოვს მესამე საგნად მათემატიკის ჩაბარებას. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამშენებლო ინჟინერიისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე, აგრეთვე, შესაძლებელია გარე მობილობით სტუდენტთა მიღება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ განსაზღვრული პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც. უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებ-გვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ნებისმიერ საკითხზე ინფორმაცია და კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით. დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი,

საჯარო და ხელმისაწვდომია. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული საგნები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“; ○ უსდ-ის „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის“საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/ ; ○ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/Construction/ ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება” – http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ–ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრავს პროგრამის შედგენის/განვითარების მეთოდოლოგიას. მასში აღწერილია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისა და გაუქმების პროცედურები. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და მათ შორის, სამშენებლო ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესებში, ასევე საფაკულტეტო კომისიები პროგრამაზე მუშაობისას ხელმძღვანელობენ აღნიშნული წესის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

„მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებს, თავისუფალ სასწავლო კომპონენტებს, აგრეთვე წინასაპროექტო პრაქტიკასა და საბაკალავრო პროექტს კრედიტების შემდეგი მოცულობით:

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები არანაკლებ 230 კრედიტისა, საიდანაც 209 კრედიტი გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსებზე, ხოლო 21 კრედიტი გათვალისწინებულია არჩევით სასწავლო კურსებზე;
- თავისუფალი კომპონენტები არანაკლებ 10 კრედიტისა

„მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები მეტწილად თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ადეკვატურია, თუმცა გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც.

გარკვეული შენიშვნები გვაქვს პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ. ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება უნდა ხდებოდეს სავალდებულო კურსების კომპონენტში. სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები კი საჭიროებს გადახედვას. კერძოდ:

- სასწავლო კურსი „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“ ნაცვლად არჩევითისა შეტანილი უნდა იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებული სასწავლო კურსების ჩამონათვალში და განისაზღვროს, როგორც საბაკალავრო პროექტზე დაშვების წინაპირობა. აღნიშნული სასწავლო კურსი მოიცავს კადემიური წერის ელემენტებს. აკადემიური წერის უნარების ნაკლებობა სტუდენტებმაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს და თვლიან, რომ ასეთი კურსიის გავლა დაეხმარება მათ არამარტო საბაკალავრო პროექტის, არამედ სხვა წერილობითი დავალებების შესრულების დროს.

- საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი კურსების ნაწილში, დაემატოს სასწავლო კურსი „ინვესტიციების საფუძველები“. ამ კურსის საკითხების ნაწილს (ინვესტიციური პროცესი და მონაწილე მხარეები, ინვესტიციების ბაზარი საქართველოში, ინვესტიციების სახეები, ინვესტიციების მოზიდვის წყაროები, ადგილობრივი ინვესტიციები, უცხოური ინვესტიციები; ინვესტიციების წარმოშობის წყარო, ინვესტიციების განთავსების სახელმწიფო პრიორიტეტები, ინვესტიციების განთავსებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი) ასწავლიან სასწავლო კურსში „მშენებლობის მარკეტინგი“, რაც რეალურად ამ უკანასკნელის შესასწავლ საკითხებს არ წარმოადგენს.

- პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს უცხო ენის შესწავლას ოთხი სემესტრის განმავლობაში. შეთავაზება ხდება ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების. პროგრამით ინგლისური ენა –1, გერმანული ენა -1, ფრანგული ენა -1 და რუსული ენა -1 სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამისი უცხო ენის ჩაბარება, რაც სტუდენტს, რომელმაც სხვა უცხო ენა ჩააბარა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, სურვილის შემთხვევაში უზღუდავს სხვა უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობას. კარგი იქნება თუ ასეთ სტუდენტებს უსდ შესთავაზებს უცხო ენის კურს დამწყებთათვის, რომლის გავლის შემდეგაც სტუდენტები დაიშვებიან შესაბამისი უცხო ენა 1-ის კურსზე.

არასწორად აქვს ასევე დაშვების წინაპირობები განსაზღვრული პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ სასწავლო კურსებს:

- „მარკეტინგის პრინციპებზე“ დაშვებას არ სჭირდება მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა, შეიძლება დაშვების წინაპირობის გარეშეც იქნეს შეთავაზებული;

- სასწავლო კურსს „შესავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტში“ დაშვების წინაპირობა არ აქვს, თუმცა „მენეჯმენტის საფუძვლების“ ცოდნა საგანზე დასაშვებად აუცილებელია;

- „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებს“ დაშვების წინაპირობა არ სჭირდება, რადგან სასწავლო კურსით გათვალისიწნებული სავალდებულო ლიტერატურა დაძლევადია საინჟინრო მათემატიკა 1-ის ცოდინის გარეშეც (ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული მათემატიკა სრულიად საკმარისია)

- სასწავლო კურსს „დეველოპმენტის საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის

მენეჯმენტი“ სხვა სასწავლო კურსებთან ერთად დაშვების წინაპირობად არასწორად აქვს განსაზღვრული „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“. სასწავლო კურსის მიზნებიდან და სილაბუსით გაწერილი შესასწავლი საკითხებიდან გამომდინარე კურსის შესწავლას არ სჭირდება „გარემოს დაცვა და ეკოლოგიის“ ცოდნა. ზედმეტი წინაპირობები პროგრამას აკარგვინებს მოქნილობას, რამაც შესაძლოა დამატებით დაბრკოლებები შეუქმნას სტუდენტებს, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო მობილობის დროს.

- პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ნაწილში უსდ სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსს „საბანკო საქმე“ დაშვების წინაპირობის გარეშე, თუმცა ამ კურსის წინაპირობების გარეშე შესწავლა სტუდენტებს გაუჭირდებათ.

აღნიშნულ რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა, შეფასებისა და განვითარების წესი.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები);

რეკომენდაციები:

- წერითი და ზეპირი კომუნიკაციები ნაცვლად არჩევითისა შეტანილი უნდა იქნეს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში და განისაზღვროს, როგორც საბაკალავრო პროექტზე დაშვების წინაპირობა;
- საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალს, თუნდაც არჩევითი კურსების ნაწილში, დაემატოს სასწავლო კურსი „ინვესტიციების საფუძველები“. არ შეიძლება ამ კურსის საკითხების ნაწილის (ინვესტიციური პროცესი და მონაწილე მხარეები, ინვესტიციების ბაზარი საქართველოში, ინვესტიციების სახეები, ინვესტიციების მოზიდვის წყაროები, ადგილობრივი ინვესტიციები, უცხოური ინვესტიციები; ინვესტიციების წარმოშობის წყარო, ინვესტიციების განთავსების სახელმწიფო პრიორიტეტები, ინვესტიციების განთავსებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი) სწავლება ხდებოდეს „მშენებლობის მარკეტინგის“ სასწავლო კურსის ფარგლებში.
- გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს შემდეგ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები: „მარკეტინგის პრინციპები“, „შესავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტში“, „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები,“ „დეველოპმენტის საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის მენეჯმენტი“, „საბანკო საქმე“

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება თუ უსდ სტუდენტებს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს სხვა უცხო ენა და აქვთ პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე სხვა უცხო ენის შესწავლის სურვილი, შესთავაზებეს უცხო ენის კურს დამწყებთათვის,

რომლის გავლის შემდეგაც სტუდენტები დაიშვებიან შესაბამისი უცხო ენა 1-ის კურსზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართით. თითოეული სასწავლო კურსის და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციათა მეექვსე დონეს. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო

კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმნეტის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა ზოგიერთი კურსის შინაარსთან მიმართებაში გვაქვს შენიშვნები, ასევე სასწავლო კურსების ნაწილში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა საჭიროებს გადახედვასა და განახლებას. კერძოდ,

- „მწვანე მშენებლობა“ მასში მოტანილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინებობის თემებით არ შეესაბამება სილაბუსის დასახელებას;

- სილაბუსში „მშენებლობის ორგანიზება და დაგეგმვა“ წარმოდგენილი საკითხების - შრომის უსაფრთხოება მშენებლობაზე; სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები - შესწავლა ხდება ასევე სასწავლო კურსში „შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში“;

- სასწავლო კურსის „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ სილაბუსი ითვალისწინებს შემდეგი თემის შესწავლას:

რადიაციული დაბინძურება.

რადიაციული გამოსხივების ძირითადი სახეები და მათი წარმოქმნის ბუნებრივი და ანთროპოგენული წყაროები. ნორმირება რადიაციული უსაფრთხოების სფეროში.

მსგავსი საკითხების შესწავლას ითვალისწინებს სასწავლო კურსის „მშენებლობა და გარემო“ სილაბუსი შემდეგნაირი სახით:

რადიაქტივობა.

- ბიოსფეროს რადიაქტიული დაჭუჭყიანებები.
- რადიაქტიული მოქმედება ცხოველებზე, მცენარეებზე და ადამიანებზე.
- რადიაქტიური იზოტოპები.
- მაიონიზირებელი გამოსხივების სახეები და დოზები.
- რადიაქტიული გამოსხივების მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე და დაცვის საშუალებები.

- სასწავლო კურსის „მშენებლობა და გარემო“ სილაბუსით განსაზღვრული მიზნები „სტუდენტს შეასწავლოს კავშირი მშენებლობასა და გარემოს შორის, შენობა-ნაგებობის ზემოქმედება გარემოზე“ სრულად არ შეესაბამება სილაბისუთ წარმოდგენილ სასწავლო თემებს და სასურველი იქნებოდა მათი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

- სასწავლო კურსის „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“ სილაბუსით გათვალისწინებული თემების სათაურები არ შეესაბამება ამ თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხების ჩამონათვალს. მაგ. მე-8 კვირის თემაა „მარკეტინგის არსი მშენებლობაში“, ხოლო თემის ფარგლებში კი განხილულია საკითხი „ბირჟების არსი, გარიგების პრინციპები ბირჟაზე“. გარდა ამისა სხვადასხვა კვირებში შესასწავლი საკითხები მეორდება.

- სასწავლო კურსის „მშენებლობის მარკეტინგის“ სილაბუსით გათვალისწინებული თემები და საკითხები:

ინვესტიციური პროცესი და მონაწილე მხარეები

• დამკვეთები • სამშენებლო ორგანიზაციები • საფინანსო ინსტიტუტები;

ინვესტიციების ბაზარი საქართველოში

• ინვესტიციების სახეები • ინვესტიციების მოზიდვის წყაროები • ადგილობრივი ინვესტიციები • უცხოური ინვესტიციები;

ძირითად კაპიტალში ინვესტიციის განთავსებისათვის აუცილებელი მარკეტინგული კვლევის წინასაეტაპო სამუშაოები

• ინვესტიციების წარმოშობის წყარო • ინვესტიციების განთავსების სახელმწიფო პრიორიტეტები • ინვესტიციების განთავსებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი

არ არის მშენებლობის მარკეტინგის ფარგლებში შესასწავლი საკითხები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კურსის სავალდებულო ლიტერატურა გარდა იმისა, რომ მოძველებულია, არც კურსის შესაბამისი არ არის.

- სასწავლო კურსი „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“ პრაქტიკულად წარმოადგენს „პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსს. პირველი 9 კვირის განმავლობაში სწორედ ამ უკანასკნელის საკითხების შესწავლა ხდება. დარჩენილი 6 კვირა ეთმობა სამშენებლო პროექტების მენეჯმენტის საკითხებს, თუმცა აქედან მე-11 და მე-14 კვირებში თემები მეორდება. სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურაც „პროექტების მენეჯმენტის“ შესასწავლად არის განკუთვნილი და ნაკლებად ითვალისწინებს სამშებებლო პროექტების სპეციფიკას.

- სასწავლო კურსის „მშენებლობის ეკონომიკა“ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა წარმოადგენს სასწავლო კურსის „მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა“ ძირითად ლიტერატურას. სილაბუსების მიხედვით შესასწავლი საკითხების დუბლირება ნაკლებად იკვეთება, თუმცა საჭიროა სასწავლო კურსს „მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა“ ექვსი ძირითადი ლიტერატურის ნაცვლად, მხოლოდ ის ლიტერატურა მიეთითოს, რომლებიც რეალურად ფარავენ „მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის“ საკითხებს.

- განახლებას საჭიროებს ასევე შემდეგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა: საგადასახადო საქმე, მშენებლობის მარკეტინგი, მარკეტინგის საფუძვლები, საბანკო საქმე

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სასწავლო კურსების: „მწვანე მშენებლობა“, „მშენებლობა და გარემო“, „ბიზნესის წარმოების საფუძვლები“, „მშენებლობის მარკეტინგი“, „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტი“ სილაბუსებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსთან და სასწავლო კურსების მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თემების შინაარსთან;

- სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში მიეთითოს სასწავლო კურსის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე კვლევები და ტენდენციები;
- დაკორექტირდეს თემების გადაფარვები შემდეგ სილაბუსებში:
  „მშენებლობის ორგანიზება და დაგეგმვა“ და „შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში“;
  „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ და „მშენებლობა და გარემო“;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- წინა აკრედიტაციის შემდეგ პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „სამშენებლო მანქანები“

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების თემატიკა, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები და ლაბორატორიული სამუშაოები ორიენტირებულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სამშენებლო ფაკულტეტი, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად, ჩართული არიან სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევით პროექტებსა და აქტივობებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება ღია საერთაშორისო კონფერენციები. ბოლო ხუთი წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნულ კონფერენციაში სამშენებლო ფაკულტეტი და კონკრეტულად მშენებლობის ინჟენერიის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ აღნიშნულ კონფერენციებში.

2019 წლის 5 ივნისს სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტის მხარდაჭერით, ჩატარდა პროფესიული ექსკურსია ჩუმათელეთში, ავტობანის მშენებლობაზე. სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა სამუშაო რეჟიმში დაკვირვებოდნენ და გაცნობოდნენ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის ერთ-ერთი უმსხვილესი პროექტის მიმდინარეობას.

2019 წლის 16 ნოემბერს მოეწყო გაცნობითი ლექცია-ექსკურსია ჟინვალის წყალსაცავზე და ანანურის ციხის ისტორიულ კომპლექსში.

რეგულარულად ხორციელდება სტუდენტთა პერიოდული ვიზიტები სამშენებლო მასალების საწარმოებში. ვიზიტები ხორციელდება უსაფრთხოების სრული დაცვით თითოეული სტუდენტის აღჭურვა ხდება ერთჯერადი ნიღბებით, ხელთათმანებით, სადეზინფექციო ხსნარებით; ადგილზე წარმოების მხრიდან მათ უტარდებათ თერმოსკრინინგი, ურიგდებათ უსაფრთხოების ჟილეტები და ჩაფხუტები. სტუდენტები აკეთებენ შესაბამის ანგარიშებს, როგორც სააუდიტორიო, ასევე ონლაინ რეჟიმში იღებენ რეკომენდაციებს პედაგოგებისაგან.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი“ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წინასაპროექტო პრაქტიკა 5 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ოთხ ორგანიზაციასთან, რომელთა ფარგლებშიც განსაზღვრულია, რომ შემსრულებელი პრაქტიკანტს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის ჩატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შასაბამისად. პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას. ხელშეკრულებებში მითითებულია პრაქტიკის ხანგრძლივობა (საათები) და პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა, რომლთა საწარმოო პრაქტიკის გავლასაც უზრუნველყოფს კომპანია კალენდარული წლის განმავლობაში (20 სტუდენტი თითოეულ კომპანიაში), რაც სრულიად საკმარისია მე-7 სემესტრში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობისთვის, რომლებმაც პროგრამის მიხედვით უნდა გაიარონ პრაქტიკა.

2019 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტსა და ა(ა) იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციას“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება. ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებულია, საფეხურის შესაბამისად, პრაქტიკული უნარების გამომუშავების უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტების ჩართულობა ასოციაციის წევრ კომპანიებში, სადაც შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ კომპანიის მიერ წამოწყებულ პროექტებში. პრაქტიკული გამოცდილება სტუდენტებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ მშენებლობის თავისებურებები და შეძლონ სპეციფიკის გათვალისწინებით ბიზნეს საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, გააზრება, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. განუვითარდებათ წინასწარ განსაზღვრული

მითითებების შესაბამისად, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მშენებლობის მარტივი პროცესების მართვის უნარი; მითითების შესაბამისად დარგში მშენებლობის მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი საერთო პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და გადაჭრის უნარი; სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით მშენებლობისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით სამუშაოთა მარტივი პროცესების წარმართვის უნარი. საგანმანათლებლო პროგრამა თვალისწინებს საბაკალავრო პროექტის მომზადებას და დაცვას. სტუდენტები ირჩევენ საკვლევ თემას, ადგენენ სამუშაო გეგმას, ახორციელებენ ინფორმაციის მოძიებას და სათანადო დამუშავებას, დასკვნების ჩამოყალიბებას და საჯაროდ დაცვას. საბაკალავრო პროექტი და წინასაპროექტო პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას, აძლევს მათ საჭირო ცოდნასა და უნარებს სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება „სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარების და შეფასების წესის“ დამტკიცების შესახებ ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესის“ დამტკიცების შესახებ ○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან; ○ საბაკალავრო პროექტის და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსები; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ საბაკალავრო პროექტების ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ პროგრამის ფარგლებში დაცული საბაკალავრო პროექტები;
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

"მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა - სწავლების მეთოდებს. არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული, ლაბორატორიული და პრაქტიკული აქტივობა და სხვა.

საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტთა შეფასების მექანიზმები შემუშავებულია ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც თავის მხრივ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მოიცავენ შეფასების ცხად და განსხვავებულ კრიტერიუმებს. შეფასების კომპონენტები განაწილებულია ისე, რომ შეფასდეს კურსის ყველა სწავლის შედეგი. ძირითადად გამოყენებულია საშინაო დავალება, აქტივობის შეფასება, შუალედური და ფინალური შეფასება. შუალედურ და ფინალურ შეფასებებში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. ძირითად კურსებში გამოყენებულია როგორც დახურული, ისე ღია ტიპის შეკითხვები. კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგ კურსში ფასდება პრაქტიკული სამუშაო, კვლევითი ნაშრომი ან პრეზენტაცია. ყველა სილაბუსში ცხადად წერია ქულების გრადაციის მნიშვნელობა.

პროგრამით გათვალისწინებულია შუალედური და საბოლოო შეფასება, სადაც საბოლოო შეფასების წვლილი შეადგენს ჯამური შეფასების 40%-ს. თითოეული კომპონენტის შეფასების სისტემა და შეფასების მეთოდი დეტალურად არის გაწერილი კურსების სილაბუსებში. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (მიმდინარე აქტივობა და შუასემესტრული გამოცდა) და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედურ შეფასებაში 30 ქულა და დასკვნით შეფასებაში 11 ქულა.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ბოლო სემესტრში წერენ საბაკალავრო პროექტს რომლის შეფასების კრიტერიუმები და სტანდარტები მოცემულია სილაბუსში, თუმცა ექსპერტთა მიერ ნაშრომების გაცნობის შედეგად ცხადი გახდა რომ აკადემიური წერის სტანდარტების მხრივ ნაშრომებს დახვეწაა აკლია.

პროგრამის აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-სგან იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, რაც ინტერვიუს დროსაც იქნა დადასტურებული მათ მიერ.

შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამჭვირვალეა და სტუდენტები იცნობენ მათ. უსდ-ში არსებობს შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი, რომელსაც ასევე იცნობენ პროგრამის სტუდენტები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა სწავლის შედეგების პრიოდულ შეფასებას და ანალიზს, და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად რაც დასტურდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიის სხდომის ოქმებით.

გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე

პანდემიის დროს სტუდენტებს გამოცდები უტარდებათ დისტანციურად, რომლის დროსაც ანონიმურობის დაცვა არსებული რესურსების პირობებში შეუძლებელია. თუმცა, ანონიმურად საგამოცდო ნაშრომების შეფასების პრაქტიკა პანდემიამდეც არ ჰქონია უსდ-ს. რაც აკადემიურმა პერსონამლმა და სტუდენტებმაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „ მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი “;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/Study-Dep/;
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge;
- ელექტრონული სწავლების პორტალი https://elearning.gtu.ge;
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა.
- სტუდენტებთანდ და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგი;
- პროგრამების შეფასების კომისიის სხდომის ოქმები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების შეფასების დროს სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს ანონიმურობის დაცვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო, პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. აკადემიური და პირად ინფორმაციას სტუდენტები იღებენ „vici.gtu.ge“-ის პორტალიდან, სადაც თითოეულ სტუდენტს პირადი გვერდი აქვს რომელზე წვდომასაც მომხმარებლით და პაროლით ახდენენ. „leqtori.gtu.ge“-ის ვებ გვერდზე მოცემულია ინფორმაციას აკადემიური ცხრილების, ჯგუფის ცხრილებისა და პედაგოგთა ცხრილების შესახებ, აღნიშნულ გვერდზე არის სასწავლო პროცესების მართვის ინსტრუქცია და სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ ინფორმაცია. „elearning.gtu.ge“-ის მეშვეობით მიმდინარეობს ელექტრონული სწავლება. სტუდენტების თვის დასაქმებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხორციელდება. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც დაინტერესებული პირები იღებენ დეტალურ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის

დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის შემოწმებისას მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ლაბორატორიები პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, ზოგიერთი მათგანი თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას მათ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ საკმარისი იყო აღჭურვილობა სასემინარო პროცესში. სტუდენტთა ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან უსდ-ში დაგეგმილი და მიმდინარე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რომ მათ პროგრამის აქვთ ფარგლებში შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო ამ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. თუმცა ამ მიმართულებით პროგრამის სტუდენტები აქტიურები არ არიან (მცირე გამონაკლისის გარდა) სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის უცხო ენის სათანადო დონეზე არ ცოდნის გამო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები; ○ გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები. ○ ინტერვიუს შედეგი
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ უსდ-მ უზრუნველყოს კონფერენციებში, კვლევებში, მობილობის პროგრამებში და სხვა მსგავს სასწავლო და კვლევით ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის გააქტიურების მიზნით სხვადასხვა საინფორმაციო, წამახალისებელი და ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა

მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამას ანხორციელებს 51 აკადემიური პერსონალი (30 აფილირებული პროფესორი, 20 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი). პროგრამას არ ჰყავს მოწვეული პერსონალი.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეესაბამება აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ უნივერსიტეტის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაში არის წაკითხული კურსების შინაარსთან და პროფილთან. რამდენიმე შემთხვევაში შეინიშნება, რომ სასწავლო კურსის წამყვან პედაგოგს არ აქვს შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი, თუმცა ასეთ შემთხვევებში მაგისტრატურის დონეზე მიღებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია (მაგალითად მშენებლობის მარკეტინგის სასწავლო კურსში), ან კვალიფიკაციის ამაღლების ხანგრძლივი პროცესით საერთაშორისო დონეზე გაფართოებული აქვს კვლევების სფერო და აკადემიური პროფილი (მაგალითად უძრავი ქონების შეფასების სასწავლო კურსში). ყველა ასეთი სასწავლო კურსისათვის წამყვან პერსონალს ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევები წარმოებული აქვს შესაბამისი სასწავლო კურსების პროფილით (მაგალითად მშენებლობის ეკონომიკის სასწავლო კურსში). განმახორციელებელი პერსონალის მიერ შესრულებული ნაშრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობა შეესაბამება განხორციელებული სასწავლო კურსების პროფილს და ადასტურებს აკადემიური პერსონალის შესაბამის კომპეტენციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით უფრო აქტიურია პროგრამის აკადემიური პერსონალი მშენებლობის ინჟინერიის სფეროში, ვიდრე მენეჯმენტის სფეროს აკადემიური პერსონალი.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას, სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვას და ასევე, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია ასევე საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური ხარისხი, პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, უნარები და კომპეტენცია. აქტიურად არის ჩართული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში (კითხულობს

სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ხელმძღვანელობს ბაკალავრებს, მაგისტრებს, დოქტორანტებს ნაშრომების მომზადების პროცესში). საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით. პროგრამას უშუალოდ ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სტუ-ს და სამშენებლო ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კონკურსის ვადები და ჩატარების პირობები http://gtu.ge/pdf/kon/konkursi_2017/konkursi_2017_1.pdf ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის # 253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია ○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები. ○ აკადემიური პერსონალის მეცნიერული მიღწევები http://science.gtu.ge/ ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები ○ პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერები ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ ვინაიდან პროგრამა ინტერდისციპლინურია, სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს როგორც მშენებლობის ინჟინერიის, ისე მენეჯმენტის სფეროს აკადემური პერსონალის თანაბარი ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას, აანალიზებს და იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში და პროფესიულ განვითარებაში; ერთის მხრივ, ის საშუალებას აძლევს ფაკულტეტის პერსონალს, შეიმუშაოს სამშენებლო ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები, მეორე მხრივ კი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას უზრუნველყოს თანამშრომლების საქმიანობის რეგულარული შეფასება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია ,,ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“. პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სტრატეგია“. ამ მიმართულებით ფაკულტეტი აძლიერებს საერთაშორისო ურთიერთობებს. კერძოდ, ფაკულტეტი თანამშრომლობს შემდეგ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან: დიდი ბრიტანეთის „სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტის“ (ICE), რომელიც თავის მხრივ კოორდინაციაში არის ევროპისა და ამერიკის მაღალი კომპეტენციების მქონე კვლევით ცენტრებთან. დიდი ბრიტანეთის „სამოქალაქო

ინჟინერთა ინსტიტუტი“ (ICE) წარმოადგენს ,,ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭოს” (ECCE) და ,,მსოფლიოს მშენებელ ინჟინერთა საბჭოს” (WCCE) ოფიციალურ წევრს, რომელთა მიზანია დაეხმარონ ევროპასა და მსოფლიოს გარემოს დაცვისა და მშენებლობის სრულყოფის საკითხებში. ,,საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების” ძირითად საქმიანობის მიზნებს შეადგენს: „ევროსაბჭოს მშენებელ ინჟინერთა კომიტეტებთან” თანამშრომლობა, საქართველოს მშენებელ ინჟინერთა პროფესიონალური მომზადების მხარდაჭერა, სტატუსისა და პრესტიჟის ამაღლება და მათი წარდგენა ევროპაში, ტექნიკური, ნორმატიული და პროფესიული სტანდარტებით ხელშეწყობა, დახმარება, მომავალი ინჟინრებისათვის საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების მიწოდება და სხვა.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც აკადემიური პერსონალი პერიოდულად გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება და სხვა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს საგრანტო კვლევით პროექტებს ინოვაციური სწავლებისა და სწავლის მეთოდების დანერგვის, საინჟინრო განათლებაში ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების განვითარების, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობის, გარემოს დაცვის სწავლების, მიმართულებით. აკადემიურ პერსონალს გავლილი აქვს საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენინგები და გადამზადების კურსები. მონაწილეობა აქვთ მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, მონაწილეობენ და ჩართულნი არიან სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე.

სტუ-ში აკადემიური პერსონალის განვითარების და მარდაჭერის მრავალფეროვანი მექანიზმების პარალელურად, ასევე არსებობს მათი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმები. არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზი იძლევა შესაძლებლობას სწორად და მიზანმიმართულად დაიგეგმოს თანამშრომელთა განვითარების და წახალისების ღონისძიებები. სტუ-ის აკადემიურ, მოწვეულ პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალის მიერ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-სთვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასება ყოველწლიურად წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში
- აქტივობები მეცნიერების ხაზით
- სტუ–სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები

ამისათვის თითოეული აკადემიურ საქმიანობაში ჩართული პირი ავსებს ანკეტა-კითხვარს.

სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, რომელზეც წარსადგენი სასწავლო მასალა გადაეცემა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასკვნის მომზადებისათვის. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სასწავლო- მეთოდური მუშაობის, მასალის მომზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან მათი თავსებადობის შესახებ მზადდება დასკვნა, რომელსაც ეცნობა

მასალის ავტორი, რაც აგრეთვე ემსახურება პერსონალის შეფასებას განვითარების მიზნით.

სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები (სტუ-ს რექტორის 19.11.2019 ბრძანება № 01-09-10/273 „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ “), რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი წარიმართება მეცადინეობაზე ფიზიკური დასწრებით.

სამშენებლო ფაკულტეტის პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისთვის ფაკულტეტზე გამოკითხვები, ხდება შედეგების შეფასება და ანალიზი, თუმცა ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ზოგი აკადემიური პერსონალი არ არის სათანადოდ ინფორმირებული შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვის და შესრულებული სამუშაოს შემოწმების მეთოდების და ხერხების შესახებ. საჭიროა მეტად მოხდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინფორმირებულობა შესრულებული სამუშაოს შემოწმების ხერხების, მეთოდების, კვლევების ანალიზის და მისი შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV-ები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება http://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shefaseba.pdf
- „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 450 / დადგენილება http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი
- ვებ გვერდი - „პროფესიული განვითარების ცენტრი“ (http://hpep.ge/ge/)
- გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინფორმირება მათი საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისათვის ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სტუდენტებს საშუალება აქვთ დისტანციურად მოითხოვონ და მიიღონ მათთვის საჭირო პროფესიული ლიტერატურა. ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო

სისტემა. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus და სხვა, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ არიან ინფორმირებულნი აღნიშნული სამეცნიერო ბაზების შესახებ და შესაბამისად არც სარგებლობენ.

სტუ მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კონსორციუმში მონაწილეობით სტუ-ს აქვს ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება. დაგეგმილია ბაზების გაფართოება.

პროგრამის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომი უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები და სამედიცინო ცენტრი.

ფაკულტეტის კორპუსის ყველა სართული უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს თანამედროვე და მაღალი დონის სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები და ცენტრები: ჰიდრავლიკის ლაბორატორია, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ლაბორატორია, წყალმომარაგებისა და წყალარინების ლაბორატორია, თბოაირმომარაგების და ვენტილაციის ლაბორატორია, მექანიკის სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია, სამშენებლო მანქანების ლაბორატორია, მშენებლობისა და ნაგებობების კვლევების ცენტრი. ლაბორატორიები დაკომპლექტებულია მაღალი პროფესიონალებით და გააჩნია შესაბამისი საშუალება მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების გზით. მატერიალური ბაზის დათვალიერებისას გაირკვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ლაბორატორიებში დანადგარებზე არ იყო დატანილი მანიშნებლები თუ რისთვისაა ეს დანადგარი და როგორ გამოიყენება, რაც სტუდენტთა ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით სარგებლობის წესი https://gtu.ge/Library/Pdf/sarg_wes_2020.pdf
- სტუ–ს ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის ფონდი http://gtu.ge/Library/
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ფონდი https://goo.gl/fsWZLk
- სტუდენტებთან ინტერვიუ
- სასწავლო რესურსების ვიზუალური დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების ინფორმირება ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ;
- სასურველია, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ლაბორატორიებში დანადგარებზე გაკეთდეს აგრეთვე ქართული მანიშნებლები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსური რესურსების გამოყოფა პროგრამისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული, რომლის მხოლოდ ნაწილს შეადგენს პროგრამის სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური. შესაბამისად, პროგრამის ფინანსური მდგრადობა ფაკულტეტის საერთო შემოსავლით არის უზრუნველყოფილი, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება და 2021 წლისთვის 5 210 250 ლარს შეადგენს.

ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა სახელმწიფოს მიერ და უშუალოდ სტუდენტების მიერ სწავლებაში გადახდილი თანხები. აღნიშნულს ემატება ექსპერტული მომსახურებით, შეკვეთილი ტრენინგებით, სამეცნიერო გრანტებით და სხვა მსგავსი აქტივობებით მოზიდული სახსრები.

ყოველწლიურად, სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტი დამოუკიდებლად შეიმუშავებს წლიურ ბიუჯეტს, რომელსაც დასამტკიდებლად წარუდგენს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.

პროგრამა მდგრადია. პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მიზნით გამოყოფილი თანხები დინამიურად იზრდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- პროგრამის ფინანსური ანალიზი;
- ინტერვიუ უსდ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უნივერსიტეტის მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროცესების მაღალი ხარისხისა და მაღალი დონის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენტურობების მქონე, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და მაღალი მორალურ-ზნეობრივი თვისებების მატარებელი სპეციალისტების მომზადების საშუალებით. ამ მიზნის მიღწევა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებით. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ - ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ -თანახმად გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო სტანდარტებში მოცემული შემდეგი ძირითადი პრინციპები: ● მომხმარებელზე ორიენტაცია; ● ხელმძღვანელობის ლიდერობა; ● თანამშრომელთა ჩართულობა; ● მუდმივი გაუმჯობესება; ● გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე; ● ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან; ამავე დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს და დანართს წარმოადგენს სტუ-ს ხარისხის

უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ხელმძღვანელობის ხედვასა და ძირითად ღირებულებებს. იგი მოიცავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების ძირითად პრინციპებს, მიმართულებებსა და ფუნქციებს.

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმის შესაბამისად შეფასება ძირითადად ხორციელდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, პედაგოგების, დამსაქმებელთა გამოკითხვის გზით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. კითხვარი, რასაც სტუდენტები ავსებენ საგანმანათლებო პროგრამის შეფასების მიზნით, მათ საშუალებას აძლევს, გამოთქვან თავიანთი აზრი როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების თაობაზე.

პროგრამების შემუშავება და დამტკიცება ხორციელდება სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

პროგრამის შემუშავება ხდება სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ, რომელშიც აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, შესაბამისი დარგის წარმომადგენლები, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, მენეჯერის სამსახურის წარმომადგენელი და სხვ. გარდა ამისა, პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები დამსაქმებლები, ასევე, შესაძლებელია პროცესში სხვა დაინტერესებული პირების ჩართვა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს

- აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის სტატისტიკური ანალიზი
- კურსდამთავრებულთა უკუკავშირი - მონაწილეობა მიიღო 28 კურსდამთავრებულმა
- მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის სტატისტიკური ანალიზი - მონაწილეობა მიიღო 52 სტუდენტმა
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები
- სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ პედაგოგების შეფასების შედეგები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიის სხდომის ოქმი
- მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის #107 დეპარტამენტის სხდომების ოქმები
- ამონაწერი სამშენებლო ფაკულტეტის სხდომის ოქმიდან
- კითხვარები: აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება, დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულების შეფასება, აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა, ღონისძიებებში ჩართულობის უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასება, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასება და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. კითხვარების უფრო ფართო რაოდენობა უნივერსიტეტს განთავსებული აქვს ვებ გვერდზე და გამოკითხვაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს

- პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზის დოკუმენტი;
- და სხვ.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს რომ კითხვარები ატვირთულია ვებ გვერდზე და ყველა მსურველს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს შეფასებაში და გამოთქვას მისი აზრი. ინტერვიუში მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა რომ მონაწილეობა აქვს მიღებული ასეთ გამოკითხვაში და პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით მოსაზრებები აქვს გაზიარებული პროგრამის შემუშავებაში მონაწილე პერსონალისთვის.

„პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ამ შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ“ დოკუმენტის შესაბამისად ფაკულტეტზე ხორციელდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასება. ფასდება როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობა; პერიოდულად ხდება ასევე მათი კმაყოფილების კვლევა, ფაკულტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად აწარმოებს, აანალიზებს და იყენებს შეფასების შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში და პროფესიულ განვითარებაში;

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს რექტორის ბრძანებით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება.

პერიოდულად სხვადასხვა დროს, შერჩევით მოხდა პედაგოგების ლექციაზე დასწრება-შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუების დროს გამოჩნდა რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტი საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ინფორმაციის მოსაპოვებლად და მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება პროგრამის განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ - ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“
- უსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები;
- უსდ-ს ოქმები
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე შეფასების მექანიზმებია-ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას, დაწესებულება იყენებს გარე ექსპერტებს საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად. წარმოდგენილია პროგრამის შეფასება ავსტრალიის მშენებელ ინჟინერთა ასოციაციის (NER APEC Engineer IntPE (Aust)) აღმასრულებელ დირექტორის დოქტორ მარტინ კანანისის და სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორის შეფასებები. დაწესებულებამ ასევე გამოიყენა 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის რეკომენდაციები, რომელთა მიზანი იყო სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს თავიანთი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე რეგულარულად და სრულფასოვნად შეეფასებინათ საგანმანათლებლო პროგრამები და

სასწავლო პროცესი; საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შექმნას საფაკულტეტო კომისიები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემადგენლობით. აღნიშნული რეკომენდაციებიდან გამომდინარე უსდ-მ განახორციელა გარკვეული აქტივობები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ჩამოყალიბდა საფაკულტეტო კომისიები; შემუშავდა სტუდენტის და დამსაქმებლის, აგრეთვე, კურსდამთავრებულის შეფასების კითხვარი, რომელიც მათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას მისცემს, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის განვითარების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ გარე ექსპერტთა დასკვნები; ○ სტუ–ს რექტორის ბრძანება (19.11.2019 № 01-09-10/273), ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/2019_11_20_10_56_11.pdf ○ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმებს, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, მისი მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს აკადემიური პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და ყველა შემადგენელი კომპონენტის პერიოდულ მონიტორინგს.

სტუ-ში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი შეფასებების შედეგებს. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აგრეთვე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ან ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, სისტემა აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მონიტორინგისთვის ასევე იყენებენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგად მიღებულ შედეგებს.

როგორც სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში, ისე ხარისხის შიდა შეფასებაში მნიშვნელოვან როლს სამშენებლო ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული „მრჩეველთა საბჭო“ ასრულებს. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, ჩართულნი არიან მათი სწავლების მიმდინარეობის და შედეგების შეფასებაში. ისინი იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების დადგენასა და მათ მოდიფიცირებასთან მიმართებაში, აგრეთვე ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში.

უსდ-ს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. შეფასების პროცედურების ვადები, შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში და, საჭიროების შემთხვევაში, კომპონენტშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და სხვა, შესაბამისი კრიტერიუმების ჩვენებით მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, და ხელმისაწვდომია როგორც შემფასებლებისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის.

ფაკულტეტზე ხორციელდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასება. ფასდება როგორც მათი სასწავლო ასევე

კველვითი საქმიანობა; მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება შემდგომი აქტივობები.

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით აწარმოებს სწავლების შეფასებას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ჩატარების გზით. პარალელურად, სტუ-ს სწავლების დეპარტამენტთან ერთად, იგი პერიოდულად ამოწმებს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებული კრიტერიუმების/ინდიკატორების და კურსების სილაბუსებში დასახელებულ თვისებრივი მიზნების მიღწევის მდგომარეობას. ამ შემოწმებების შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სათანადო ანალიზის ჩატარებისთვის მიაწვდის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სასწავლო დეპარტამენტს. ამ ინფორმაციის საკუთარ შეფასებებთან შეჯერების საფუძველზე, რომლებიც სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებებს ასახავენ, დეპარტამენტი შეიმუშავებს შემჩნეულ ხარვეზთა გამოსასწორებელ ღონისძიებათა გეგმას, რომელსაც გააცნობს დეკანს. გეგმის შესრულებას დეპარტამენტის მიერ, გააკონტროლებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დეკანატი.

უსდ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცდილობს გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. პროგრამის შექმნის პროცესში განხორციელდა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების (VIRGINIA TECHNICAL UNIVERSITY, LOUGHBOROUGH UNIVERSITY, NORTHUMBRIA UNIVERSITY NEWCASTLE, KINGSTON UNIVERSITY LONDON) მსგავსი პროგრამების მოძიება და „მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის“ პროგრამასთან დადარება და მათი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნების და ყველა დაინტერესებული მხარის უკუკავშირის და სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები. მოხდა არსებული სილაბუსების ოპტიმიზაცია: ცალკეულ სასწავლო კურსებში განხორციელდა კრედიტების, სწავლების და შეფასების ფორმების, შინაარსის და სასწავლო ლიტერატურის ცვლილება, გაიზარდა პრაქტიკული საკითხების მოცულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ https://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadg531.pdf
- სტუ–ს რექტორის ბრძანება (19.11.2019 № 01-09-10/273), ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/2019_11_20_10_56_11.pdf
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ - ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“
- უსდ-ს ჩატარებული კვლევები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>



თეა კასრაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

მერაბ ბარათაშვილი 

პაატა გერაძე

ნინო ჯოჯუა 

თამარ ღუღუნიშვილი